გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 197

2024 წლის 13 დეკემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.45.31.185.01.502), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ საზოგადოება ბილიკისთვის (ს/ნ 217889300) სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ა(ა)იპ საზოგადოება ბილიკის 2024 წლის 23 სექტემბრის N 926 წერილით მოთხოვნილია, ქ. გორში, შოთა ჩოჩიშვილის ქ. N 8-ში (საკადასტრო კოდი N 66.45.31.185.01.502) მდებარე ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა, რადგან ორგანიზაციასთან გაფორმებულ ერთ წლიან უზუფრუქტის ხელშეკრულებას გაუვიდა მოქმედების ვადა. ორგანიზაციის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის და მიმდინარე სოციალური პროექტების განხორციელების მიზნით, საჭიროა ახალი ხელშეკრულების გაფორმება.

ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრმა დაიწყო ფუნქციონირება 2019 წლის ოქტომბრის თვიდან. ორგანიზაციას ცენტრში დასაქმებული ჰყავს 26 თანამშრომელი. ცენტრის ბენეფიციარები არიან სხვადასხვა დიაგნოზის მქონე ბავშვები, როგორიცაა: განვითარების ეტაპების შეფერხება, დაუნის სინდრომი, აუტისტური სპექტრის აშლილობები, ცერებრული დამბლა, შშმ სტატუსის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვები.

ცენტრში ამჟამად, ხორციელდება შემდეგი პროექტები:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ქვეპროგრამა - ბავშვთა ადრეული განვითარება (პროექტი გათვლილია 200 ბენეფიციარზე). აღნიშნულ ქვეპროგრამას ,,საზოგადოება ბილიკი" ახორციელებს 2017 წლიდან დღემდე. ბენეფიციართა რაოდენობა არის 170 ბავშვი, მათი ასაკობრივი ზღვარი არის 0 დან 7 წლამდე;
2. საქათველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა, ქვეპროგრამა რეაბილიტაცია/ აბილიტაცია. ამჟამად, ბენეფიციართა რაოდენობა არის 40 ბავშვი. მათი ასაკობრივი ზღვარი არის 0 დან 18 წლამდე. აღნიშნული პროგრამის განხორციელება ორგანიზაციამ დაიწყო 2022 წლის აპრილის თვიდან;
3. გორის მუნიციპალიტეტის მერიის და ,,საზოგადოება ბილიკის" ერთობლივი თანადაფინანსებით ხორციელდება პროექტი ,,ხელი-ხელს". პროექტი ითვალისწინებს 4 სპეციალისტის ხელფასის ანაზღაურებას, ხორციელდება 2020 წლიდან დღემდე. პროექტი გათვლილია 120 ბენეფიციარზე. მათი ასაკობრივი ზღვარი არის 0 დან 7 წლამდე.
4. 2024 წლის მარტიდან ორგანიზაციამ დაიწყო ABA პროგრამა-აუტისტური სპექტრის ბავშვებისათვის 0 დან 18 წლამდე, რომელიც ემსახურება 84.0 და 84.9 დიაგნოზის ბავშვებს. ამჟამად, ყავთ 16 ბენეფიციარი.

ა(ა)იპ საზოგადოება ბილიკი პირნათლად ახდენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებას და აქედან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ა(ა)იპ საზოგადოება ბილიკს (ს/ნ 217889300) უსასყიდლოდ სარგებლობაში უზუფრუქტის ფორმით, ორი წლის ვადით გადაეცეს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ქ. გორში, შოთა ჩოჩიშვილის ქ. N 8-ში I სართულზე მდებარე 319.04 კვ.მ. ფართი; საკადასტრო კოდი N 66.45.31.185.01.502

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტის შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს ა(ა)იპ საზოგადოება ბილიკს (ს/ნ 217889300), გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ქ. გორში, შოთა ჩოჩიშვილის ქ. N 8-ში მდებარე შენობის I სართულზე არსებული 319.04 კვ.მ. ფართი, საკადასტრო კოდი N 66.45.31.185.01.502;

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**